## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება №01-02/180**

ქ. ბათუმი **20** ივლისი, 2022 წელი

**ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის უნარების განვითარება“ დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 07 ივლისის №20-19/02 სხდომის ოქმის, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორის, ასისტენტ-პროფესორ მამუკა გოგელიას 14 ივლისის №801200 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე (ოქმი №20-19/02; 07.07.2022) დამტკიცდეს თანდართული მოკლევადიანი პროგრამა: **„პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის უნარების განვითარება“** წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება დაევალოს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორს, ასისტენტ-პროფესორ მამუკა გოგელიას.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორს, ასისტენტ-პროფესორ მამუკა გოგელიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **„პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის უნარების განვითარება“** დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 20 ივლისი №01-02/180 ბრძანების

დანართი №1

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **„პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის უნარების განვითარება“** |
| პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი) |
| პროგრამის განხორციელების ადგილი/მისამართი; საკონტაქტო ელ.ფოსტა და ტელეფონი | ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, კორპუსი №6<br>ელ.ფოსტა: vocational@bsu.edu.ge<br>m.gogelia@bsu.edu.ge<br>ტელ.: (995) 577 49 19 39 |
| პროგრამის განხორციელების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი | მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მიმართულების კოორდინატორი |
| პროგრამის განხილვისა და დამტკიცების აქტი | ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 07 ივლისის №20-19/02 სხდომის ოქმი |
| პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი | ასოც. პროფესორი მადონა მიქელაძე;<br>ასისტენტ პროფესორი მამუკა გოგელია;<br>ჯილდა აბაშიძე - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| პროგრამის ხანგრძლივობა | სულ - 27 საათი (მათ შორის 24 საათი საკონტაქტო და 3 საათი - საგამოცდო), რომელიც ჩატარდება სულ 5 კალენდარულ დღეში (დღეში 6 აკადემიური საათი, სულ 24 საათი) და 1 საგამოცდო დღე (3 საათი) |
| პროგრამაზე სწავლის საფასური და ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა | 1 მსმენელისათვის - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის გათვალისწინებით; ჯგუფში არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 მსმენელი; ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების შესაბამსად) |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია გადაამზადოს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორი, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რათა შექმნას სწავლებისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო, განახორციელოს კონკრეტული მიმართულების პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების პრაქტიკული სწავლების პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება |
| პროგრამის ხარჯთაღრიცხვა | მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების შესაბამისად |
| ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ | ბსუ პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს კეთილმოწყობილი აუდიტორიით, სათანადო ტექნიკური საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სასწავლო რესურსით. |
| პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი | პროგრამის განხორციელების პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების მიერ ხდება პროგრამის შეფასება, მონიტორინგი, მსმენელთა მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის შინაარსობრივი დახვეწისათვის. |
| პროგრამის დასრულების შედეგად სერტიფიკატის გაცემის წესი | პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წინაპირობაა პროგრამის სრული კურსის გავლა და დასკვნით გამოცდაზე შეფასების - მაქსიმალური 100 ქულიდან არანაკლებ 71 ქულის მიღება. |

## პროგრამის შინაარსი

| პროგრამის სტრუქტურა/გეგმა | თემატიკა |
|---|---|
| 1<br>➢ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების არსი და დანიშნულება;<br>➢ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის როლი, ფუნქცია-მოვალეობები.<br>6 საათი | ➢ პროფესიული განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა;<br>➢ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების არსი (სდს);<br>➢ პროფესიულ განათლებაში პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის როლი და მიმართულებები;<br>➢ კომპანიის ინსტრუქტორების შერჩევის კრიტერიუმები და მოტივაციის მექანიზმები;<br>➢ კომპანიაში სდს ინსტრუქტორი და მისი ძირითადი მოვალეობები. |
| 2<br>➢ კომპანიაში პრაქტიკული სწავლების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება კონკრეტული მიმართულების პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებისათვის<br>6 საათი | ➢ უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემოს მოწყობა;<br>➢ სასწავლო პროცესების ორგანიზება;<br>➢ ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში;<br>➢ მოტივაციის მნიშვნელობა სწავლების პროცესში; |
| 3<br>➢ სწავლების თანამედროვე მეთოდები;<br>➢ კომპანიაში პრაქტიკული სწავლების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა<br>6 საათი | ➢ კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების არსი, ტრანსფერული უნარები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, როლური თამაში, სიმულაცია;<br>➢ პრაქტიკული სწავლების მეთოდების შერჩევა და გამოყენება;<br>➢ პრაქტიკულ სწავლებაში გამოყენებული სწავლების 4-ეტაპიანი მოდელის არსი (ინსტრუქტაჟი, ინსტრუქტაჟის სახეები ინსტრუქტაჟის სხვადასხვა სახეების ჩატარების ტექნიკა დემონსტრირება დემონსტრირების ჩატარების თავისებურებები, გამეორებითი დემონსტრირება, დემონსტრირებისას ინსტრუქტორის და სტუდენტთა განლაგების სქემა და სხვა). |
| 4<br>➢ შეფასების სისტემა და შეფასების თავისებურებანი პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებში<br>6 საათი | ➢ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების და თემატიკის მიხედვით სამუშაო დავალებების შემუშავება;<br>➢ მსმენელების პრაქტიკული სწავლების შედეგების შეფასება. (შეფასების მიზანი, შეფასების ტიპები - განმავითარებელი და განმსაზღვრელი, მათი დახასიათება და შედარება. შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები: ვალიდობა; სანდოობა; მოქნილობა; სიმარტივე; თანასწორობა და სამართლიანობა)<br>➢ შეფასების მტკიცებულებების შეგროვება, შეფასების შედეგების დოკუმენტირება;<br>➢ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელების პრაქტიკული უნარების შეფასების პროცესის ორგანიზება (პროფესიული მასწავლებლის/კოლეჯის ადმინისტრაციის/კომპანიის წარმოადგენლების მხარდაჭერით). |
| 5 დასკვნითი გამოცდა<br>3 საათი | გამოცდა ჩატარდება კომბინირებული ფორმით: ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალებები. |